დამტკიცებულია შპს მარნეულის
კოლეჯის დირექტორის
2019 წლის 4 ოქტომბრის
N 38 ბრძანებით

შპს მარნეულის კოლეჯი

სკოლამდელი აღზრდის მეთოდოლოგიის საფუძვლების ერთწლიანი

საგანმანათლებლო პროგრამა

მარნეული 2019 წელი

I. **სახელწოდება:** სკოლამდელი აღზრდის მეთოდოლოგიის საფუძვლები;

II. **პროგრამის ხელმძღვანელი** --- მანანა ლობჟანიძე

III. **პროგრამაზე დაშვების წინაპირობა: სკოლის** საბაზო ან სრული განათლება, ქართული ენის ფლობა B1 დონეზე.

IV. **კურსდამთავრებულთა კარიერული შესაძლებლობები:** პროგრამის დასრულების შემდეგ პირს შეუძლია დასაქმდეს ბაგა-ბაღში, სასკოლო მზაობის პროგრამებში, კერძო საბავშვო დაწესებულებებში, საბავშვო გასართობ ცენტრებში, დღის ცენტრებში, სკოლამდელი ასაკის ბავშვის მომსახურების
ცენტრებში და ა.შ.

V. **პროგრამის მიზანი:** პროგრამის მიზანია კვალიფიციური კადრის მომზადება, რომელიც შეძლებს ადრეულ ასაკში ბავშვზე ზრუნვას, ამ მიზნებისთვის მან უნდა უზრუნველყოს უსაფრთხო და განმავითარებელ სააღმზრდელო გარემო და ამ პროცესში შეძლოს ჯგუფის პედაგოგთან, ბავშვის ოჯახთან, ბაღის კოლექტივთან, სფეროს წარმომადგენლებთან კომუნიკაცია დასაკუთარ პროფესიულ განვითარებაზე ზრუნვა.

VI. **სწავლის შედეგები:**
პროგრამის დასრულების შემდეგ პირს შეუძლია:
- ბავშვის განვითარების ხელშემწყობი სტრატეგიების გამოყენება
- სკოლამდელი ასაკის ბავშვის ჰოლისტური განვითარებაში მონაწილეობა, მათი ასაკობრივი თავისებურებების, ინტერესების, ინდივიდუალური შესაძლებლობების გათვალისწინებით
- სააღმზრდელო პროცესში მონაწილეობა
- სააღმზრდელო აქტივობების ორგანიზება
- წარმატებული, უსაფრთხო მხარდამჭერი სააღმზრდელო გარემოს შექმნა;
- ჯანმრთელი და უსაფრთხო გარემოს მოთხოვნების დაცვა;
- კომუნიკაცია ბავშვის ოჯახის და თემის წამომადგენელებთან პროფესიული ეთიკის ნორმების დაცვით.

VII. **პროგრამის მოცულობა და ხანგრძლივობა:**
- **პროგრაის მოცულობა: 1300**
- **პროგრამის ხანგრძლივობა 42 კვირა**

VIII. **პროგრამის სტრუქტურა და სასწავლო კურსები**

	სასწავლოკურსის დასახელება დასახელება	**საათები**
1.	ინფორმაციული წიგნიერება 2	64
2.	ინგლისური ენა	67
3.	გაცნობითი პრაქტიკა-სკოლამდელი აღზრდა და განათლება	50
4.	შესავალი ადრეულ და სკოლამდელ განათლებაში	125

5.	ბავშვის განვითარების თავისებურებები	100
6.	პროფესიული ეთიკა სკოლამდელ აღზრდასა და განათლებაში	75
7.	ჯანმრთელობა და უსაფრთხოება	150
8.	მეწარმეობა 3	75
	ადრეული განათლების კურიკულუმები	125
	დაკვირვება და შეფასება ადრეულ და სკოლამდელ აღზრდასა და განათლებაში	150
	საგანმანათლებლო გარემო	200
	ოჯახის და თემის ჩართულობა სკოლამდელ აღზრდასა და განათლებაში	75
	სულ:	**1300**

IX. პროგრამის მსმენელის მიღწევების შეფასება:

- შეფასება არსებობს განმავითარებელი და განმსაზღვრელი.
- განმავითარებელი შეფასება შესაძლოა განხორციელდეს როგორც ქულების, ასევე ჩათვლის პრინციპების გამოყენებით.
- განმსაზღვრელი შეფასება ითვალისწინებს მხოლოდ ჩათვლის პრინციპებზე დაფუძნებული (კომპეტენციების დადასტურებაზე დაფუძნებული) სისტემის გამოყენებას და უშვებს შემდეგი ორი ტიპის შეფასებას:
  ა) სწავლის შედეგი დადასტურდა;
  ბ) სწავლის შედეგი ვერ დადასტურდა.
- განმსაზღვრელი შეფასებისას უარყოფითი შედეგის მიღების შემთხვევაში პროფესიულ სტუდენტს უფლება აქვს, მოითხოვოს სწავლის შედეგების მიღწევის დამატებითი შეფასება პროგრამის დასრულებამდე.
- შეფასების ინსტრუმენტები გაწერილია სასწავლო კურსებში.
- ყველა სწავლის შედეგის მიღწევა დადასტურებული უნდა იქნას შესაბამისი მტკიცებულებებით.
- შეფასების ინსტრუმენტების და მტკიცებულების კონკრეტულ ფორმას სასწავლო კურსის მასწავლებელი შეიმუშავებს სწავლის განხორციელების პროცესში.

X. სერტიფიკატის გაცემის წესი

სერტიფიკატის გაცემა შესაძლებელია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ პირი მიიღებს დადებით შეფასებას და დაადასტურებს სასწავლო კურსების ყველა სწავლის შედეგს. სერტიფიკატის გაცემაზე უფლებამოსილი ორგანიზაციაა შპს მარნეულის კოლეჯი.